საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

ქ. თბილისი №1/212-2007 „25" სექტემბერი 2007 წ.

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

საქართველოს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შვებულებისა და მივლინების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე

1. „მოსამართლეთა სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების შესახებ" საქართველოს კანონის მე-12 მუხლის შესაბამისად, დამტკიცდეს „საქართველოს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შვებულებისა და მივლინების წესის შესახებ" თანდართული დებულება.

2. ეს გადაწყვეტილება ამოქმედდეს „საქართველოს რაიონული (საქალაქო), საოლქო და ავტონომიური რესპუბლიკების უმაღლესი სასამართლოების მოსამართლეთა შვებულებისა და მივლინების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე" საქართველოს პრეზიდენტის 2000 წლის 8 აგვისტოს №357 ბრძანებულების ძალადაკარგულად გამოცხადებისთანავე.

ვალერი ცერცვაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი

დამტკიცებულია
საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
2007 წლის 25 სექტემბრის № 1/212-2007
გადაწყვეტილებით

დ ე ბ უ ლ ე ბ ა

საქართველოს რაიონული (საქალაქო) და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა შვებულებისა და მივლინების წესის შესახებ

თავი I. მოსამართლის შვებულება

მუხლი 1.

1. მოსამართლეს მუშაობის პირველ წელს ანაზღაურებადი შვებულება მიეცემა უფლებამოსილების ვადის დაწყებიდან თერთმეტი თვის გასვლის შემდეგ.

2. მოსამართლეს თერთმეტი თვის უწყვეტი მუშაობის ვადის გასვლამდე, მისი თხოვნით შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი შვებულება.

3. მოსამართლეს, რომელიც მუშაობდა საჯარო დაწესებულებაში, სადაც არ უსარგებლია შვებულებით, შვებულება შეიძლება მიეცეს თერთმეტი თვის გასვლამდე.

მუხლი 2.

1. მოსამართლის ყოველწლიური შვებულება განისაზღვრება 30 კალენდარული დღით.

2. მოსამართლეს უნაზღაურდება მხოლოდ გამოყენებული შვებულების დღეები და შესაბამისი ანაზღაურება მას მიეცემა მომდევნო ხელფასის გაცემის დღეს.

მუხლი 3.

1. მოსამართლეს წლის განმავლობაში შეიძლება მიეცეს ანაზღაურებადი სასწავლო შვებულება ერთ თვემდე ვადით.

2. წლის განმავლობაში მოსამართლეს შეიძლება მიეცეს შვებულება ანაზღაურების გარეშე „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ ფარგლებში და წესით.

3. ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლასთან დაკავშირებით მოსამართლეს შვებულება მიეცემა კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავი II. მოსამართლის მივლინება

მუხლი 4.

1. მოსამართლის ქვეყნის შიგნით მივლინების შემთხვევაში დღიური ხარჯების ნორმა განისაზღვრება 20 ლარის ოდენობით.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული ხარჯები არ ანაზღაურდება „საერთო სასამართლოებში საქმეთა განაწილებისა და უფლებამოსილების სხვა მოსამართლისათვის დაკისრების წესის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში, მოსამართლის უფლებამოსილების განსახორციელებლად მოსამართლის სხვა რაიონულ (საქალაქო) ან სააპელაციო სასამართლოში მივლინებისას.

3. უცხო ქვეყანაში მივლინებისას მოსამართლეს მიეცემა დანამატი დღიური ანაზღაურების 30 პროცენტის ოდენობით.

თავი III. მოსამართლის შვებულებისა და მივლინების გაფორმების წესი

მუხლი 5.

1. სასამართლოს თავმჯდომარემ მოსამართლეთა მომდევნო კალენდარული წლის შვებულების გრაფიკი საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში უნდა წარადგინოს მიმდინარე წლის 10 დეკემბრამდე.

2. მოსამართლეთა შვებულების გრაფიკში ცვლილებების შეტანა შეიძლება შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის მიერ, რაც ეცნობება საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს.

მუხლი 6.

1. გადაწყვეტილება მოსამართლის შვებულებისა და მივლინების შესახებ ფორმდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბრძანებით.

2. მოსამართლის შვებულების მომდევნო სამუშაო წელს გადატანა ახალი კალენდარული წლის დაწყებამდე შეიძლება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბრძანებით.

3. მოსამართლის შვებულებიდან გამოძახება ხორციელდება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მდივნის ბრძანებით, შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარის დასაბუთებული მოხსენებითი ბარათის საფუძველზე.